სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

`შეთანხმებულია~:

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

პროფ. ნ. ჩიხლაძე --------------------------------------

თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ი. გრძელიძე -------------------------------

ფაკულტეტის საბჭოსთან

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი№13. 29.11.2019

პროფ. დ. კორძაია ------------------------------

,,დამტკიცებულია~

თსუ აკადემიურ საბჭოს მიერ

აკადემიური საბჭოს დადგენილება №

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი[1]

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად) | სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“<br>Master Program ”Public Health” |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად) | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი<br>MA in Public Health, MA in PH |
| პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება | პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს, რაც მოიცავს 4 სასწავლო სემესტრს, სულ120 კრედიტი;<br>თითოეულ სემესტრში ასათვისებელი კრედიტების რაოენობაა **30 ECTS.**<br>პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს **საკონტაქტო** და **დამოუკიდებელ** მუშაობას. რაც გულისხმობს: პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სწავლებას/სწავლას, ლექციებს, სამუშაო ჯგუფებში სემინარულ და პრაქტიკულ სწავლებას/მუშაობას, პრეზენტაციების მომზადებას და წარდგენას/დაცვას, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადებას და ჩაბარებას.<br>დამოუკიდებელი მუშაობა, თავის მხრივ, გულისხმობს დამოუკიდებელ მუშაობას ზედამხედველობის ქვეშ (under supervising) და დამოუკიდებელ მუშაობას ზედამხედველობის გარეშე (without supervising).<br>1 ECTS = 25 სთ.<br>პროგრამის სტრუქტურა კრედიტებში:<br>სპეციალობის სავალდებულო კურსები/მოდულები - 85 კრედიტი.<br>არჩევითი სასწავლო კურსები - 5 კრედიტი.<br>სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი.<br><br><table><tr><th>№</th><th>პროგრამის სტრუქტურა და კრედიტები</th><th>ECTS კრედიტები</th></tr><tr><td></td><td>პროგრამის სავალდებულო საგნები</td><td>85</td></tr></table> |

| | | |
|---|---|---|
| | ბიოეთიკისა და სამედიცინო სამართლის საფუძვლები | 15 |
| | ბიოსტატისტიკა, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები | 15 |
| | გარემოს ჯანმრთელობა | 15 |
| | ეპიდემიოლოგია | 15 |
| | ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტი | 15 |
| | ინგლისური ენა | 10 |
| | **სამაგისტრო ნაშრომის მომზადება** | **30** |
| | **არჩევითი საგნები** | 5 |
| | სოციალური ფსიქოლოგია | 5 |
| | ჯანმრთელობის ხელშეწყობადა დაავადებათა პრევენცია | 5 |
| | პროფესიული პრაქტიკა | 5 |
| | კვლევითი პროექტი | 5 |
| | სულ ECTS | 120 |
| | | |
| | | |

| | |
|---|---|
| სწავლების ენა | **ქართული ენა** |
| პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი | ნატა ყაზახაშვილი, MD PHD, თსუ პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი |
| პროგრამაზე დაშვების წინაპირობა[2] | სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი (დიპლომი). სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა ჩააბარონ ერთიანი ეროვნული გამოცდა და გამოცდა სპეციალობაში. |
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი | პროგრამის მიზანია:<br>➢ სტუდენტებს მისცეს თანამედროვე მიღწევებსა და კვლევის შედეგებზე დაფუძნებული ღრმა და სისტემური ცოდნა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში, რაც გულისხმობს მაგისტრანტებს შეასწავლოს ყველა ის საკითხი, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, კერძოდ სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ბიოლოგიური, გარემო ფაქტორები და სხვა; |

| | |
|---|---|
| | ➢ მაგისტრანტები დაეუფლონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევის თეორიულ, პრაქტიკულ და მეთოდოლოგიურ მიდგომებს. შეისწავლონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრაქტიკასთან დაკავშირებულ პროფესიული და კონტექსტუალური საკითხები;<br>➢ შეასწავლოს ჯანდაცვის სისტემის მოწყობის და მართვის საკითხები და  გლობალური ჯანმრთელობის გამოწვევების გადაჭრის გზები;<br>➢ განუვითაროს პროფესიული კეთილსინდისიერებისა და პასუხსმგებლობის გრძნობა;<br>➢ პროგრამის დასასრულს იყოს ჩამოყალიბებული სპეციალისტი, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება დასაქმების  ბაზარზე და მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებს თავისი წვლილი შეიტანოს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| სწავლის შედეგები | „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს ექნება  სისტემური ცოდნა  საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში. სტუდენტი შეიძენს ცოდნას ახალი საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მისი შემადგენელი კომპონენტების თაობაზე. სამაგისტრო პროგრამა და მისი შემადგენელი ნაწილები სტრუქტურირებულია ისე, რომ  მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში სწავლების უახლეს მიდგომებს და მეთოდებს, რომელიც მაგისტრანტებს უქმნის საფუძველს თავად შეისწავლონ საზოგადოებრივ ჯანდაცვის პრობლემური საკითხები, გაიაზრონ და შეიმუშაონ  ინოვაციური მიდგომები, მონაწილეობა მიიღონ კვლევებში და განავითარონ ახალი, ორიგინალური იდეები. |
| *ა) ცოდნა და გაცნობიერება* | **პროგრამის დასრულების შემდეგ  მაგისტრანტი:**<br>• სიღმისეულად ჩამოაყალიბებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ეპიდემიოლოგიის, ბიოეთიკასა და სამედიცინო სამართალის და გარემოს ჯანმრთელობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.<br>• გააცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობას. ექნება საკუთარი ცოდნის და უნარების ობიექტურად შეფასების უნარი.<br>• გააცნობიერებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, როგორც მეცნიერების სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. |
| *ბ) უნარები* | კურსდამთავრებული  შეძლებს: |

| | |
|---|---|
| | - მეცნიერული კვლევის ჩატარების თაობაზე მიღებული ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად დაგეგმოს კვლევა და უზრუნველყოს იდეის ორიგინალური განვითარება.<br>- ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების დაგეგმვის, განხორციელების და წარმოშობილი ბარიებების დაძლევას.<br>- შესწავლილი საკითხების საფუძველზე მაგისტრანტს პრობლემის დანახვის და მის გადასაჭრას.<br>- ჯგუფში მუშაობას როგორც გუნდის რიგით წევრი, ისე ლიდერი. თავისი დასკვნების საჯაროდ წარმოდგენას, მის მკაფიო დასაბუთებას შესაბამისი ცოდნით, მსჯელობით და ლოგიკით, როგორც სპეციალისტებთან, ისე არა სპეციალისტებთან;<br>- სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას; სასწავლო პროცესის თავისებურებების გაცნობიერებას; დროის მენეჯმენტს -პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესასწავლად დროის ეფექტურად განაწილებას, ინფორმაციის ინგლისურ ენაზე გაცნობას და დამუშავებას. |
| *გ) პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა* | სასწავლო პროგრამის დაძლევის შემდეგ:<br>- მაგისტრანტს შეეძლება დაინახოს და გაიაზროს ის ფასეულობები და ღირებულებები, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მოღვაწეობისთვის.<br>- სასწავლო პროცესში სხვადასხვა საკითხების თუ შემთხვევების განხილვის შემდეგ მაგისტრანტს ექნება გათავისებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში აღიარებული ეთიკური, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები; ასევე საზოგადოების წევრებთან, პაციენტთან, მის წარმომადგენლებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობების დაცვის მნიშვნელობა. |
| სწავლება-სწავლის მეთოდები | სწავლების მეთოდებია:<br>ლექცია, ინტერაქტიური, Power-Point პრეზენტაციის თანხლებით, დემონსტრირების მეთოდი; ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; წიგნზე მუშაობის მეთოდი,; შემთხვევის გარჩევა და ანალიზი(Case study); დისკუსია/დებატები და კითხვებზეპასუხი. ანალიზის და სინთეზის მეთოდი; ჯგუფური მუშაობა; წერითი მუშაობის მეთოდი; სიტუაციური სავარჯიშოების და სცენარების განხილვა; როლური |

| | |
|---|---|
| | თამაშები; პრაქტიკული მეთოდი, აუდიო-ვიზუალური მეთოდი; სტატიის კრიტიკული ანალიზი (წერილობით წარმოდგენა და ზეპირი მოხსენება; Evening News მომზადება (წერილობით წარმოდგენა და ზეპირი მოხსენება); რეფერატის მომზადება და პრეზენტაცია. |
| შეფასების სისტემა | სტუდენტის ცოდნის შეფასება მოხდება 100 ქულიანი სისტემით. 100 ქულა არის მაქსიმალური შეფასება. შეფასების ამ სისტემაში ქულების განაწილების სქემა ასეთია:<br>**შეფასების სისტემა უშვებს:**<br>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:<br>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;<br>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;<br>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;<br>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;<br>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.<br><br>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:<br><br>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწა ვლი.<br>საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე, რომელიც ინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.<br>შეფასების კრიტერიუმები წარმოადგენს შეფასების მეთოდის საზომ ერთეულს, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე საგანმანათლებო პროგრამის თითოეული კომპონენტებისთვის.<br>დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებში, ხოლო დასკვნითი გამოცდა ითვლება ჩაბარებულად, თუ სტუდენტმა გამოცდაზე მიიღო მაქსიმალური ქულის 50% (დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით). |

| | |
|---|---|
| დასაქმების სფეროები | პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი მომზადებული იქნება დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობისათვის, მის მიერ სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს დასაქმდეს სახელმწიფო ან კერძო სექტორში. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონულ, რეგიონულ ან ცენტრალურ სტრუქტურებში, სადაზღვევო კომპანიებში, ფარმაცევტულ სექტორში,სამედიცინო დაწესებულებებში. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის აქტივობის არეს წარმოადგენს უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურები, რაიონულ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე, აგრეთვე ის სტრუქტურები, სადაც ხდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ეროვნული პოლიტიკის შემუშავება (მაგ.შრომის, აჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, საპარლამენტო კომისიები), საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე ფოკუსირებული არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები, კვლევითი ორგანიზაციები,სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, სარეაბილიტაციო ცენტრები. მაგისტრის ხარისხის მქონე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები შეძლებენ მუშაობას პაციენტის უსაფრთხოების, შრომის უსაფრთხოების სამსახურებში, ასევე კვლევით, სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელ სახელმწიფო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში მკვლევარის ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის კონსულტანტის და ასისტენტის თანამდებობებზე, მაგისტრატურის პერიოდში სამეცნიერო მუშაობის წარმართვის უნარ-ჩვევების განვითარება მათ ასევე საშუალებას მისცემს სწავლა გააგრძელონ დოქტორანტურაში. |
| სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის | უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. |
| პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი | (იხ. დანართი 3) |

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

| | |
|---|---|
| **პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა** | იხ. დანართი ბიუჯეტის შესახებ. |
| **დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)** | თსუ მედიცინის ფაკულტეტისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპატამენტის მიერ მომდევნო სასწავლო წლებში დაგეგმილია რამდენიმე დაწყებული საერთაშორისო პროექტის განხორციელება, მათ შორის ,,საქართველო-ნორვეგიის თანამშრომლობა საზოგადოებრივ ჯანდაცვაში ’’მიმდინარე პროექტი CPEA 2015-10057 SIU (**Norwegian** Centre for International Cooperation in Education), Norway Georgian-Norwegian Collaborative in Public Health GeNoC-PH. The main goal of this project is to harmonized education and research in Public Health in the frame of Master and PhD Programs in Public Health with International standards based on Norwegian experience.(Duration of the Project 01.03 2016-31.12.2019). ასევე, ახალი პროგრამების ფარგლებში უცხოეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა, სადაც გათვალისწინებულია მაგისტრანტების აქტიური ჩართულობა, წარჩინებული სტუდენტებისთვის გასვლა უცხოეთის უნივერსიტეტებში. ამავე პროექტების ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის სწავლებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა. მაგისტრანტთათვის პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებისა და პროფესიული პრაქტიკის გასავლელად მიღწეულია შეთანხმება ქვეყნის ისეთ წამყვან სამედიცინო დაწესებულებებთან, როგორიცაა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, შპს „ივერმედი“, გ.ნათაძის სახელობის სანიტარიის, ჰიგიენის და სამედიცინო ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ჩაფიძის გულის ცენტრი. |

## სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: მედიცინის
ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“
სწავლების საფეხური: უმაღლესი განათლების მე-2 საფეხური, მაგისტრატურა
კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი: ნატა ყაზახაშვილი
აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:
სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი):

### პროგრამის სტრუქტურა (III ვარიანტი)

| სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | კოდი | სასწავლო კურსის სახელწოდება | ECTS | სტუდენტის საათობრივი დატვირთვა | | | სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა | სწავლების სემესტრი | | | | ლექტორი / ლექტორები |
| | | | | ლექცია | სემინარი | პრაქტიკუმ | | I | II | III | IV | |
| 1. | | ბიოეთიკისა და სამედიცინო სამართლის საფუძვლები I | 5 | 15 | 30 | | სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობა არ გააჩნია | X | | | | ნინო ჩიხლაძე |
| 2. | | ბიოეთიკისა და სამედიცინო სამართლის საფუძვლები II | 5 | 15 | 30 | | ბიოეთიკისა და | | X | | | ნინო ჩიხლაძე |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | სამედიცინო სამართლის საფუძვლები I | | | | | |
| **3.** | | ბიოეთიკისა და სამედიცინო სამართლის საფუძვლები III | **5** | 15 | 30 | | ბიოეთიკისა და სამედიცინო სამართლის საფუძვლები II | | | X | | ნინო ჩიხლაძე |
| **4.** | | ბიოსტატისტიკა, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები I | **5** | 15 | 30 | | სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობა არ გააჩნია | X | | | | მაია კერესელიძე |
| **5.** | | ბიოსტატისტიკა, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები II | **5** | 15 | 30 | | ბიოსტატისტიკა, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები I | | X | | | მაია კერესელიძე |
| **6.** | | ბიოსტატისტიკა, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები III | **5** | 15 | 30 | | ბიოსტატისტიკა, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები II | | | X | | მაია კერესელიძე |
| **7.** | | გარემოს ჯანმრთელობა I | 5 | 15 | 15 | 17 | სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობა არ გააჩნია | X | | | | ქეთევან დადიანი |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. | | გარემოს ჯანმრთელობა II | 5 | 15 | 15 | 17 | გარემოს ჯანმრთელობა I | | X | | | ქეთევან დადიანი |
| 9. | | გარემოს ჯანმრთელობა II | 5 | 15 | 15 | 17 | გარემოს ჯანმრთელობა II | | | X | | ქეთევან დადიანი |
| 10. | | ეპიდემიოლოგია I | 5 | 15 | 30 | | სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობა არ გააჩნია | X | | | | პაატა იმნაძე შოთა ცანავა |
| 11. | | ეპიდემიოლოგია II | 5 | 15 | 30 | | ეპიდემიოლოგია I | | X | | | პაატა იმნაძე შოთა ცანავა |
| 12. | | ეპიდემიოლოგია III | 5 | 15 | 30 | | ეპიდემიოლოგია II | | | X | | პაატა იმნაძე შოთა ცანავა |
| 13. | | ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტი I | 5 | 15 | 30 | | სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობა არ გააჩნია | X | | | | ნატა ყაზახაშვილი ლაშა ლორია |
| 14. | | ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტი II | 5 | 15 | 30 | | ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტი I | | X | | | ნატა ყაზახაშვილი ლაშა ლორია |
| 15. | | ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტი III | 5 | 15 | 30 | | ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტი II | | | X | | ნატა ყაზახაშვილი ლაშა ლორია |
| 16. | | ინგლისური ენა I | 5 | 15 | 30 | | სასწავლო კურსს დაშვების | X | | | | ლექტორი განისაზღვრება სასწავლო წლის |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | წინაპირობა არ გააჩნია | | | | | დაწყებისთან ავე |
| 17. | | ინგლისური ენა I | **5** | 15 | 30 | | ინგლისური ენა I | | X | | | ლექტორი განისაზღვრება სასწავლო წლს |
| **7** | | **სამაგისტრო ნაშრომის მომზადება** | **30** | | | | | | | | X | |
| | | **არჩევითი საგნები** | | | | | | | | | | |
| **8** | | სოციალური ფსიქოლოგია | 5 | 15 | 15 | | სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობა არ გააჩნია | | | X | | ნათია გეწაძე |
| **9** | | ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებათა პრევენცია | 5 | 10 | 20 | | სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობა არ გააჩნია | | | X | | მაკა ჯორბენაძე |
| 10 | | პროფესიული პრაქტიკა | 5 | | 45 | | სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობა არ გააჩნია | | | X | | ნატა ყაზახაშვილი |
| 11 | | კვლევითი პროექტი | 5 | | 15 | | სასწავლო კურსს დაშვების წინაპირობა არ გააჩნია | | | X | | ნატა ყაზახაშვილი |
| | | სულ | **120** | | | | | 30 | 30 | 30 | 30 | |

პროგრამისხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა ——————————————————————————————————————

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————————————————————————————

ფაკულტეტისსასწავლოპროცესისმართვისსამსახურისუფროსის ხელმოწერა ——————————————————————————————————————

ფაკულტეტისდეკანის ხელმოწერა ——————————————————————————————————————

უნივერსიტეტისხარისხისუზრუნველყოფისსამსახურისუფროსისხელმოწერა ——————————————————————————————————————

თარიღი——————————————————————— ფაკულტეტისბეჭედი